რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. ივ. მუხრანსკის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა

მიიღება ტფილისში „დროების" რედაქციაში, ქუთაისში ჭილაძის წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთა ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію „Дроэба"

„დროების" ფასი:

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსი თვისა . . . 5 მან. | ერთი თვისა . . . 1 მან.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა

დიდის ასოებით, ასოზე ერთი კაპეიკი, ასო-მთავრულით ასოზე ნახევარი კაპეიკი [illegible] სტრიქონზე რვა კაპეიკი.

თუ ხანგრძლივობა [illegible] და შესწორებულნი დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს, დაუბეჭდელ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ქუთაისში განცხადება მიიღება ჭილაძის წიგნის მაღაზიაში.

ცალკე ნომერი „დროებისა" ღირს ერთი შაური.

**ორშაბათს, 21 მარტს, ნაშუადღევის 4 საათ. და 35 წამ. გარდაიცვალა თ. გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი. პანაშვიდი იქმნება ყოველ-დღე შუადღის უკან პირველს საათზე და საღამოს — შვიდ საათზე საკუთარს სახლში, ორბელიანის ქუჩაზე.**

## გრიგოლ ორბელიანის სიკვდილი

„მერგო რიგი და აწ ჩემს საფლავს დამზერ შენ."

როგორ უნდა განისაზღვროს ის მწვავე გრძნობა, ის გულ-მკვლელი მწუხარება, რომელშიაც მოჰყავს კაცი ამ საკვირველი კაცის სიკვდილს. რა ენამ უნდა გამოთქვას, რა კალამმა უნდა აღწეროს მისი ცხოვრება და მისი მნიშვნელობა ჯერ, როდესაც მისი გვამი არც კი გაციებულა და მისი მაღალი სული ვერც კი ასულა იმ მაღალ მთაზე, „სადაც გალობენ ანგელოზნი ღვთისა დიდებას." ან კი, რა ნუგეშია სიტყვით კმაზული გრძნობის გამოხატვა, როდესაც დავკარგეთ ამ გვარი კაცი. მარტო ვაებით და ტირილით თუ გამოვსთქვამთ ამ მწუხარებას, თორემ სიტყვა უღონოა აქ სულიერი მდგომარეობის გამოსახატავად.

ჯერ ერთი თვეც არ გასულა, მას აქედ, რაც ვხედავდით ამ კაცს ჩვეულებრივად მხნეს, მრთელს, სიცოცხლითა და ძლიერებით აღსავსეს, რომელიც ოთხმოცი წლის სალმობას ვერ დაეძლია და დროთა მოქმედებას ვერ მოედრიკა. ის თითქო დასცინოდა სიკვდილს და დაუკლებლად ესწრებოდა ყოველგვარ ცერემონიებს, დღესასწაულებს, მიცვალებულების დამარხვას. მაგრამ მოულოდნელმა ავად-მყოფობამ — სახადმა — ერთს თვეზე გაიტანა მისი სიცოცხლე. ჩვენი დიდებული და საყვარელი პოეტი მიიცვალა გუშინ, 21-ს მარტს, ნაშუადღევის 4 საათზე და 35 წამზე. დღე იყო ორშაბათი, რომლისთვისაც ტყუილად არ უწოდებიათ მძიმე და შავი ორ-შაბათი.

მთელი ჩვენი საუკუნე სავსეა გრიგოლ ორბელიანის სახელით. ის დაიბადა იმ დროს, როდესაც საქართველო ჯერ კიდევ საკუთარ სამეფოს შეადგენდა და მას აქედ, ეს ოთხმოცი წელიწადია, მის პიროვნებას ვხედავთ ჩვენი სამშობლოს ისტორიის ყოველს ფურცელზე. მხნედ, ჭკვიანად, მამულისთვის მოღვაწედ მან განვლო მთელი ეს საუკუნე, შთამომავლობიდამ შთამომავლობამდე დაასვა თავის ბეჭედი, მიაკედლა თავისი სახელი ყოველს გვარს მოძრაობას, რომელიც შეემჩნეოდა ჩვენ ქვეყანას.

იშვიათი პოეტი, ისეთი პოეტი, რომლის ზემოდ მარტო ერთი რუსთველი-ღა არის, უცხო მოსაუბრე, მხნე მეომარი, გამოჩენილი მმართველი, ორბელიანი ყოველ კაცისთვის, ყოველ წოდებისა და ჰასაკებისთვის საყვარელი კაცი იყო, ხელმწიფიდამ დაწყებული უკანასკნელი საწყალ კაცამდის.

ყოველ დღიურს ჩვენს სიცოცხლეში, ყოველს დიდს შემთხვევაში, ყველგან ვხედავდით მის ნათლით სავსე და მომღიმარე პირს. აქ მილიციონერებს ამხნევებდა თავის სიტყვით, იქ არხეოლოგებს შესხმიდა ქებას და გზას ულოცავდა საქართველოს სახელით მთავარ-მართებელს და სხ. და სხ. ახლა გადახედეთ ამ საუკუნის საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო ისტორიას, მწერლობის თავგადასავალს — ყველგან დაგვხვდებათ იგივე და იგივე გრიგოლი.

მაგრამ ვისაც არა სმენია მისი ტკბილი და ჭკვიანი მუსაიფი, არ უნახავს პოეტი და არ იცის მისი ხასიათი, იმან როგორ შეიძლოს განსვენებულის დაფასება!

ისტორიას ეკუთვნის მისი ცხოვრების დაფასება. ჩვენ, ამ აჩქარებულზე მოვაგონებთ მკითხველებს მის ცხოვრებიდამ ზოგიერთა ეპიზოდებს.

თავადი გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი 1816 წელს შევიდა სამსახურში იუნკრად. პირველი ჩინი მიიღო 7 ივნისს 1821 წელს; ოსმალოს და სპარსთა ომიანობის დროს ის იღებდა მონაწილეობას და ახალციხის ციხეზედ იერიშით მისვლაზე, 1829 წელს ის დაჯილდოებულ იქმნა მე-4 ხარისხის ვლადიმერის ჯვრით. 1831—1838 წ. ის მსახურებდა რუსეთის სხვა-და-სხვა გუბერნიებში, ჯერ ქვეითა ჯარში და შემდეგ ნევის ზღვის პოლკში. თავის სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, გრიგოლ დიმიტრის-ძე კიდევ იმყოფებოდა სამხედრო სამსახურში 1857-მდე, ამ დროს განმავალობაში თავადს არა ერთხელ მიუღია მონაწილეობა მთიულებთან ომიანობაში, რისთვისაც ის დაჯილდოებულ იყო ჩინებით; 1847 წელს იმას ჩააბარეს აფშერონის პოლკი; 1848-ს მიიღო ღენერალ-მაიორობა, 1850 დანიშნულ იყო ჯარისა და ბელაქნის სამხედრო ოლქის უფროსად და ლეკების (კარდონის ლინიისა); 1852—1854 წ.წ. თ. არღუთინსკის ავადმყოფობის გამო ასრულებდა მის თანამდებობას მრთელს კასპიის მხარეს მართვით და 1855 წ. კიდეც დამტკიცდა ამ თანამდებობაში.

1857 წ. თ. გრიგოლ დანიშნულ იყო ღენერალ ადიუტანტად მის იმპერატორებით უდიდებულებასთან.

1858 წ. მიიღო თავ-მჯდომარეობა მთავარ-მმართებლის რჩევისა და ამით გათავდა კიდეც იმისი სამხედრო სამსახური და შემდეგ თავადი გრიგოლ გამოცდილებით მოხმარდა სამოქალაქო გამგებლობას. 1860 წ. იყო დანიშნული ტფილისის ღენერალ-ღუბერნატორად და სანამ ეს ადგილი გაუქმდებოდა 1866 აასრულებდა ამ თანამდებობას. 1861 წ. მიიღო ინფანტერიის-ღენერალ.

კავკასიის მთავარ - მმართებლების სხვაგან მყოფობის დროს, ასრულებდა მთავარ სარდლობას კავკასიის ჯარისას 1859, 1860, 1861—1863 და 1865 წლებში. ბოლოს 1866 წ. დანიშნულ იყო სახელმწიფო რჩევის წევრად, რომელ თანამდებობაშიაც იყო უკანასკნელ დღემდე მისის სიცოცხლისა.

1871 წელს ტფილისმა იდღესასწაულა 50 წლის აფიცრობის იუბილეი გრიგოლ დიმიტრის-ძის ორბელიანისა. ამ წელს ჩამობრძანდა კავკასიაში ხელმწიფე იმპერატორი, რომელმაც პირადად დაასაჩუქრა იუბილიარი „ანდრია პირველ წოდებულის" ორდენით. ამ შემთხვევის გამო ხელმწიფე იმპერატორმა გააბედნიერა ის შემდეგის რესკრიპტით.

„თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძე, 7 ივნისს ამ მომავალი წლისას შესრულდა 50 წელიწადი მას აქედ, რაც თქვენ აფიცრის პირველი ჩინი მიიღეთ. სიყმაწვილიდანვე შესწირეთ თქვენი თავი სამხედრო ასპარეზს და მიიღეთ მონაწილეობა ყველა ომებში თურქებთან, სპარსელებთან და ლეკებთან 1822 წლიდან 1857-მდე. თქვენ, როგორც ყოველგან და ყოველთვის, გამომჩენი სამაგალითო ვაჟკაცობისა, წინ-უძღოდით ჯერ აფშერონის პოლკს, მერე განაგებდით ჯარს-ბელაქნის სამხედრო მაზრას და ლეკის მხარეს; შემდეგ გებარათ 21 ქვეითი ჯარის დივიზია და მთელი ჯარი კასპიის ზღვის ნაპირებზედ. არამც თუ მარტო სამხედრო სამსახურში, თქვენ სამოქალაქო სამსახურითაც დიდი ღვაწლი დასდეთ მამულს. როდესაც, 1858 წ., მოგიწოდეთ თქვენ მთელი მხარის გამგებლად. დიდი შრომა და გამჭრიახობა გამოიჩინეთ მაგის დამშვიდებაში და სამოქალაქო წესების დადგინების ისტორიაში კავკასიის იქით მხარეს თქვენ დაიჭერთ შესანიშნავ ალაგს.

„ეხლა, როდესაც პირველად ვნახეთ კავკასის აქეთა მხარე მთლად დამორჩილების შემდეგ, მოვისურვეთ აღვნიშნოთ თქვენი მხნე და ქველი სამსახური მამულისა და ტახტის წინაშე ამ ნახევარ საუკუნის განმომავლობაში და მით დაგიმტკიცოთ ჩვენი კეთილ განწყობილება თქვენდამი. ამიტომ გვიწყალობებია თქვენთვის კავალრობა ჩვენის საიმპერატორო ორდენისა წმიდისა მოციქულისა ანდრია პირველ მოწოდებულისა, რომლის ნიშნებსაც ამასთანავე გიგზავნით.

დავშთებით ყოველთვის უცვლელად გულითადი თქვენი მოსიყვარულე და მადლიერი. ალექსანდრე."

ამავე იუბილეის დროს დიდმა მთავარმა მიხაილ ნიკოლოზის-ძემ, რომელიც საგანგებოდ ჩამობრძანდა ამ დღეს ბორჯომიდამ შემდეგი სიტყვა უთხრა განსვენებულს:

„თავადო გრიგოლ დიმიტრის-ძევ! დღევანდელს ღირს სახსოვარს დღეს, როგორც თქვენთვის ისე კიდევ ყველა ჩვენთვის, მოგილოცავთ კავკასიის ჯარის სახელით, მოგილოცავთ მრთელის კავკასიის და ბოლოს კერძოდ ჩემის მხრითაც. ყმაწვილობითვე ჩვენ გამოჩენილ კავკასიის რაზმში სამსახურის დაწყებით, თქვენ ყოველთვის თანამოზიარე იყავით მისის ბედის და უბედობისა; ყველგან და ყოველთვის დაგვიმტკიცეთ შესანიშნავი თვისებები მხედარისა და შემდეგ ათას გვარ თანამდებობაში, როგორც სამხედრო ნაწილში, ისე კიდევ სამოქალაქოისა. თქვენ ჩაუნერგეთ სიყვარული და პატივისცემა თქვენ ქვეშევრდომთა და ჭეშმარიტმა და დაუღალავმა მოღვაწეობამ მოგაგებინათ თქვენ გული ხელმწიფე იმპერატორისა. ჩემის ამ მხარეში ჩამოსვლისათანავე, მე ნამდვილ დავაფასე სარგებლობა და გამოცდილება თქვენი და თქვენმა ხასიათმა მაგალითად შემაყვარა თქვენი თავი და გამხადა პატივ მცემელი თქვენი. ეს თვით თქვენც კარგად იცით თავადო. დღეს კი ჩემის აქ მოსვლით მე მსურს საყოველთაოდ და ნამდვილ დაგიმტკიცოთ, თუ რა უზომოა თქვენი სიყვარული ჩემს გულში და რამდენად პატივსა გცემ მე თქვენ."

ეს სიყვარული და პატივ-საცემი გვამი, რომელმაც მას აქეთ თორმეტი წელი იცოცხლა, დღეს აღარ არის!

აღარ არის კაცი, რომელსაც ასე ცხოველად უყვარდა თავისი ერი და სამშობლო, რომელიც საქართველოს წარსრული დიდებით იყო სულ-დგმული და უფერულ აწმყოს შეჰყურებდა მწუხარებით. მას ამხიარულებდა ჩვენი

ერის წარმატება და აღორძინება. როცა ომის შემდეგ შემოგვიერთდა ჩვენ ბათუმის მაზრა მან შემდეგის მგრძნობიერის სიტყვებით მიჰმართა ქალაქში ჩამოსულ ქობულეთლებს:

„ბატონებო!

„რას მოასწავებს დღეს ჩვენი აქ შეყრილობა? რა გვიხარიან? რასა ვდღესასწაულობთ? ჰრება ესე წარმოგვიდგენს სასიხარულოს მას სანახავსა, როდესაც ერთის დედისა შვილნი, შავის ბედისა გამო განშორებულნი, დიდს ხანს ერთმანეთისათვის დაკარგულნი, ანაზდეულად, მოულოდნელად შეხვდენ, იცნეს ერთმანეთი და გადაეხვივნენ გულითადის სიყვარულითა.

„ჩვენც, ეგრეთვე — საქართველოს შვილნი ვიყავით დაკარგულნი ერთმანეთისათვის საუკუნოების-განმავლობაში; ბევრი ვიტანჯეთ მტერთაგან, ბევრი გაოხრება გამოვიარეთ, მაგრამ მაინც-კი არ დაგვივიწყებია დაშორებულნი ჩვენი ძმები. Tვალი, გული გვეჭირა თქვენკენ, ბატონებო, და ვინატრიდით, როდეს აღმოვა ჩვენი მზე შეერთებისა!! (გაცხარებული ტაშისკვრა).

„და გვისმინა ღმერთმანცა და დღეს ჩვენ შორის ვხედავთ დაშორებულთა ძმებთა. მოხარულნი, ვმადლობთ Uფალსა და ვევედრებით, რათა შეერთება ესე ჩვენი იყოს უკუნითი უკუნისამდე შეურყეველად! და დღეის იქით ლხინშიაც, ჭირშიაც უნდა ვიყვნეთ ჩვენ ერთად, ვითარც შვილნი დედა საქართველოისა!!..“

Iსრეთისავე სიხარულით შეეგება განსვენებული ომიდამ გამარჯვებით დაბრუნებულს მილიციონერებს. საქართველოს მკლავის ტრიალი და ძლიერება, მამა-პაპური სისხლი და მხნეობა სულს უდგამდა პოეტს. მან მიულოცა მილიციონერების დაბრუნება შემდეგის სიტყვები:

„ძმებო! მოგილოცავთ მშვიდობით და გამარჯვებით დაბრუნებას! მოგილოცავთ დაბრუნებას იმ საშინელ ბრძოლიდამა, სადაცა თქვენი ძველი მამა-პაპების მხნეობა და სიმარჯვე არა ერთხელ განმტკიცებულა.

„ვინ არ ებრძოდა ძველად საქართველოს? Oთხივ კუთხივ მტერნი იყვენ შემოსეულნი. არაბნი, სპარსელნი, ლეკები, თათრები არასოდეს მოსვენებას არ გვაძლევდნენ. მუდამ დღე იძულებულ ვიყავით იმათგან დაგვეცვა ჩვენი სარწმუნოება და სამშობლო. მუდამ ხელში ამოღებული ხმალი გვქონდა.

„და ჩვენ ვიგერებდით ამ მტრებს.

„სიხარულით ვხედავ, რომ თქვენ იმ ძველ მამა-პაპათა სისხლი გიდგათ ძარღვებში. ვხედავ, რომ მამა-პაპათ გადმოუციათ თქვენთვის თავიანთი მხნეობა, თავ-დადება სამშობლოისა სარწმუნოებისათვის.

„Mცადენით, ძმებო, რომ ეგ მხნეობა, ეგ თავ-დადება თქვენს შვილებს, ძმებსა და მეზობლებს გადასცეთ!! (ყვირილი: ვეცდებით)!!

„მხლა შინ წახვალთ და, თუ ვინიცობა, კიდე საჭიროებამ მოითხოვოს და მტერი კარს მოგვადგეს, გამოდით ისეთისავე მხნეობით და თავ-დადებით, როგორც ეხლა გამოიჩინეთ!

დრო გვიჩქარის სტამბაში და იძულებულ ვართ ამ მცირე ცნობებით გავათაოთ დღეს ლაპარაკი გრიგოლ Oრბელიანზე.

ამ დღეებში უფრო ვრცლად გავაცნობთ ჩვენს მკითხველებს მის დიდებულ პიროვნებას, მაგრამ ვინ არ იცის მისი ვინაობა, ვინ არ ეტყვის მას მისივე სამღვთო სიტყვებით:

ტაძარი შენი სდგას გულსა ჩვენსა.

ი. მეუნარგია.

## დღიური

**გუშინ, ორშაბათს, 21 მარტს, ნაშუადღევის 4 საათ. და 35 წამ. გარდაიცვალა სახელმწიფო რჩევის წევრი, ღენერალ-ადიუტანტი, ღენერალი-ინფანტერიით თავადი გრიგოლ დიმიტრის-ძე ორბელიანი.**

* * *

გაზეთ „კასპში“ ვკითხულობთ, რომ 2-დამ 14-ს მარტამდე ასტრახანისაკენ გამგზავრებულა 29 ხომალდი უმეტეს ნაწილად ნავთით, მაშინ როდესაც შარშან ამ დროს პირველსავე ნაოსნობის გახსნისათანავე 122 ხომალდი გავიდაო.

ეს გარემოება ცხადად გვიმტკიცებს რა მნიშვნელობა აქვს ბაქოს რკინის გზას: ეხლა ნავთი ამ გზით მიდის.

* * *

გაიხსნება თუ არა ბაქო-ტფილისის რკინის გზა, როგორც „კასპი“ ამბობს, ამ გზით გარდაიტანენ ერთ ნახევარ მილიონ ფუთს რელსებს სპარსეთის რკინის გზისათვის. ხის მასალას კი იქვე სპარსეთის ტყეში დაამზადებენო.

* * *

ბათუმიდამ სწერენ გაზ. „მხოს“, რომ 13 ამ თვეს იქ დაღუპულა Oსმალოს გემი და ხუთი კაცი დაიღრჩაო. ამ ნაირი შემთხვევები აქ ხშირია და მისაშველებელი და საღსნელი არა არის-რაო.

* * *

გორჩალოს მაზრიდამ გვწერენ:

„არ ვიცი მოგეხსენებათ თუ არა, რომ აქაურის უმაღლესის მთავრობის განკარგულებით ზაფხულობით, ე. ი. იმ დროს, როდესაც თათრები დაიწყებენ მთაში წასვლას, შემოდგომამდე დანიშნულია განსაკუთრებით Tრიალეთის საპრისტავოში ორი „რაზიეზდნი კამანდა“; თითო კამანდაში შვიდი ურიადნიკი და ოც-და-თექვსმეტი ჩაფარია; ამ კამანდასა ჰყავს თავის უფროსიც. ესენი არიან სოფ. წალკის მცხოვრებლების ხარჯზედ დასამშვიდებლად იმ უბედურ ქრისტიან მცხოვრებლებისა. რაღა თქმა უნდა, რომ საკეთილოა ამ გვარი განკარგულება, მაგრამ ზოგიერთი დაბალი მოხელე კი წინააღმდეგად ექცევა ამ დაარსებას და არ ასრულებს ნამდვილ დანიშნულებას, არ აძლევს ჯეროვან ყურადღებას, რომ წალკის საზოგადოებამ აღმოირჩიოს კეთილ სვინიდისიანი კაცები ნაჩალნიკებად იმ „რაზეზდნი კამანდებსა“.

სხვათა შორის კორრესპონდენტი ჰკიცხავს ეხლანდელ კამანდის უფროსს...

* * *

Aხირებულია ამ შორაპნის მაზრის ეკკლესიების საქმე. ამას წინად გვწერდენ, რომ ორ სოფლად აგერ თითოორ-ორ წლობით არის დაკეტილი ეკკლესიაო და მრევლი ულოცვაწირივოდ არის დარჩომილიო, ეხლა გვატყობინებენ ამ გვარსავე ამბავს ამავე მაზრის სოფ. სკანდიდამ. აქაც დაუკეტიათ ეკკლესია. ადგილობრივ მოძღვარს გამოუთხოვია ეს განკარგულება მისის მთავრობისაგან. სანამ ახალი ეკკლესია არ აიგება, მანამ წირვა-ლოცვაც არ ეღირსება მრევლსაო.

* * *

მოგეხსენებად, როგორც რუსეთში ისე ევროპაში, ურიების მუქთა მჭამლობას და ცარცვას ვეღარ გაუძლო ხალხმა და სხვა-და-სხვა ალაგს სხვა-და-სხვა ნაირად გამოუცხადეს პროტესტი და უკმაყოფილება; რუსეთში გაუნათლებელმა რუსის მუჟიკმა თავისებურად მოინდომა გადეწყვიტა ის მრავალ ფესვებ გადგმული, ესრედ წოდებული, ურიებს საქმე, რომელზედაც მრავალი მინისტრები თავს იმტვრევენ და ვერაფერი მოუხერხებიათ,—და თავის მუშტს მიჰმართა. ევროპაში ურიებთან ბრძოლას უფრო მშვიდი, ლეგალური ხასიეთი აქვს, როგორც შეეფერება განათლე-

---

## «დროების» ფელეტონი, 22 მარტს.

### პარიჟის ცხოვრებიდამ

(ჟიულ კლარეტისა.)

### მასალა ორ-მოქმედებიან კამედიისათვის

### II

პირველი მოქმედება. სცენა წარმოადგენს ქალბ. N. საწოლ-ოთახს. ქალბ. N. მშვენივრად მორთული სდგას სარკის წინ და ბეჯითად აკვირდება თავის სახეს, თუ მორთულობას, ბეჯითად იმიტომ, რომ დღეს უნდა გადასწყდეს ომი... სიყვარულის ველზედ. მართლაც ქ-მა N. ნაზად, კმაყოფილებით გაიღიმა, ნებივრად გადაწვა სავარძელში და ჯიბიდამ ამოიღო წერილი.

აი, შინაარსი ამ წერილისა, რომელსაც ჩვენც გადავავლეთ თვალი ქალ. N. ფუნთულა მხრების იქიდამ (განა არ შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ფუნთულა მხრები ჰქონოდა):

„მადლობელი ვარ ჩემო ლიუსი, რომ შემატყობინე შენი ქმრის სენტ-კანტენში წასვლა, სადაც ოჯახის საქმეებს გაუწვევიათ ის. Oრი დღე მოსვენებისა შენთვის ე. ი. ორი დღე გაზიარება სიყვარულისა ჩემთან! ხვალ საღამოს, თერთმეტ საათზე, მე მოვალ ბაღის კარებით, რომლის გასაღები შენ თითონ მომეცი. Mცადე, რომ მოსამსახურები არ დამხვდენ. გაკოცებ მილიონ ჯერ.

ალბერ.“

ქალმა, ჩაიკითხა თუ არა ეს წერილი—დახედა საათსა, თერთმეტს ხუთი მინუტი აკლდა. Uკანასკნელად ჩაიხედა სარკეში. მშვენიერება ხარო, უპასუხებდა სარკე... და დაიწყო ლოდინი, მაგრამ ბევრი ხანი კი არ მოუნდა, ხუთი მინუტი მსწრაფლ გავიდა...

მოისმა ფეხის ხმა. ეს ის არის!

— ჩემო კარგო!

— ალბერ!

— მე შენ მიყვარხარ....

— რასაც ჩვენ ჩავდივართ—საშინელებაა!

— გაჩუმდი!

— განა ჩემი ქმარი არ....

— ნუ მელაპარაკები იმაზე... მე შენ გიყვარვარ?

— მკითხავთ კიდეცა მაგას, როცა აქა ბრძანდებით?

— ბრძანდებით... თქვენობით რად მელაპარაკები?

— არას დროს ვერ გავბედავ—თქვენ შენობით გელაპარაკო... მეტადრე ესეთს სინათლეში...

— მაშ გავაქროთ სანთელი...

— არა, არა...

— Iს დღეს დილით წავიდა?

— დიაღ...

— დაიფიცე, რომ ის აღარ გიყვარს სრულებით.

— Tქვენ კიდე ეჭვიანობთ...

— ანგელოზო!

— Tქვენ კიდე ეჭვიანობთ, როდესაც მე თქვენის გულისთვის, ვივიწყებ ჩემ მოვალეობასა...

— არა! შენ მართალი ხარ, არც გიყვარს და არც შეგიძლიან იმისი სიყვარული...

— ჩემო ალბერ...

— ჩემო...

კოცნა... ერთბაშად მოისმა კარების ბრახუნი და საშინელის ხმით ყვირილი...

— Uბედურო!

ეს ქმარია,—სწორედ ის, ვისაც არას დროს არ მოელიან და მუდამ წამს უნდა მოელოდენ-კი ამისთანა შემთხვევებში.

Iსა სდგას გაანჩხლებული, გაბრაზებული და ღრიალებს: უბედურო!!.

— პოლ! გევედრები!—ჩურჩულებს შეშინებული დედა-კაცი...

— მე შემეძლო მამეკალით, მოწყალეო ხელმწიფევ, ეუბნება ქმარი საყვარელს.—მე კანონი მაძლევს ამ ნებას... მაგრამ მე არ ვეკუთვნი იმ ადამიანთ, რომელნიც მზა არიან კანონიერ და დაუსჯელ სიკვდილით ისარგებლონ... ხვალ დილით ჩემი სეკუნდანტები მოვლენ თქვენთან.

საყვარელმა, რასაკვირველია, ვერა უპასუხა-რა.

— წადით აქედამ... მიდის...

*) იხ. „დროება“, № 59.

გულ ხალხს. სხვათა შორის გერმანიაში შესდგა „საზოგადო კავშირი ურიებთან საბრძოლველად.“ ეს საზოგადოება, რომელიც თავისი წევრების რიცხვით მეტად ძლიერია, წლეულს ჰმართავს საქსონიის ქ. ზემანიცში საზოგადო ყრილობას, რომელზედაც არიან მოწვეულნი ყველა ქვეყნებიდან. სხდომა გაგრძელდება ორ დღეს 15 და 16 აპრილს. ამ ყრილობაზედ უნდა შეიმუშაონ ყველა ის საშუალებები, რომლითაც უნდა ებრძოლონ ურიების მუქთა-მჭამლობას.

იმედია ჩვენიდან არავინ წავა, რადგანაც ჩვენი ურიები აქა გვყვანან...

* * *

დ. ხონიდამ დიდს სამდურავს გვწერენ იქაურს ექიმზედ. მდიდარსა და ღარიბს ერთნაირად ახდევინებს თავის შრომის სასყიდელადო ერთ მისვლაზედ არა ნაკლებ სამს მანეთს და ისიც თუ ფაიტონი არ მიართვი, რაც უნდა ეხვეწო ცხენით ერთ ბიჯსაც არ გადგამსო. ბ. აფთიაკარი, რა თქმა უნდა მისი, ყურ-მოჭრილი ყმა გახლავსთ და თუ ექიმის რეცეპტი არ მოუტანა ხინასაც არავის აძლევსო. ამ ნაირად ხალხი ამ ბატონებისაგან ძალიან შეწუხებულნი და შევიწროებულნი არიანო.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ხევი, 17 მარტს, ჩვენში წლეულს ზამთარი ძლიერ კარგი და საქცბური იყო: არც თოვლი და არც ყინვები ჩვეულებრივი აღარ ყოფილა. მთელმა ზამთარმა ისე გაიარა, რომ მისგან კაცი არ შეწუხებულა. ზამთარმა თუმცა ასე კეთილად გაიარა, მაგრამ სამაგიეროდ ქირავნება ძლიერ დაეცა და მის გამო ფულის შოვნაც გაჭირდა.

ჩემს სიცოცხლეში არც ერთი წელიწადი არ მინახავს ისრეთი ღარიბი და უსარგებლო ადგილობრივის მცხოვრებთათვის, როგორც არის ეს უკანასკნელი წელიწადი; ხშირად ხედავს კაცის თვალი იმ გვარს მაგალითებს ჩვენში, რომ შუათანა შეძლების კაცს შიმშილით ჯალაბობა ეხოცება და, 10—20 მანეთი ფული არც თვითონა აქვს, რომ იმ ფულით ჯალაბების საზრდელად პური იყიდოს და ვერც ჩვეულებრივის სარგებლით ვალად უშოვნია. *) წარმოიდგინეთ ამ ნაირს მდგომარეობაში ყოფნა ჩვენის ხალხისა, და მაშინ ადვილად დარწმუნდებით, რომ, უკეთუ შუათანა შეძლების კაცს ამ გვარ გაჭირება ადგას, უკანასკნელს სიღარიბეში მყოფთა რაღა ჰქნან! მას ვინ-ღა ენდობა და სად იშოვნოს პურის ფასად ფული?! აი, სადაც არის, ეხლა სახელმწიფო ხარჯსაც მოსთხოვენ (ამ წლის საკომლო ხარჯის ფურცლები მიღებულია);

წარსულის 1882 წლის დასაწყისამდე კომლზე 30 კაპეიკს ვიხდიდით სახელმწიფო ხარჯად, წარსულს წელსკი ორ-წელ-ნახევრის ხარჯად კომლზე 3 მან. და 90 კაპ. გადაგვახდევინეს, თუმცა, ცვლილების გამო, ახალი წესით 1 მან. და 50 კაპეიკია დაწესებული, მაგრამ ეს იმიტომ, რომ ხსენებული ცვლილება ორ-წელ-ნახევრის წინად მომხდარა. როდესაც მთიულეთში პრისტავად მყოფმა ბ—ნმა პალუბანსკიმ ეს ახალი ხარჯის ქაღალდები გადმოიტანა, ჩააბარა მამასახლისებს და გამოუცხადა მათ მთავრობის ახალი განკარგულება ხარჯის მომატებაზედ ცვლილების მოხდენის შესახებ, მაშინ სხვათა შორის მან სიტყვიერად საყოველთაოდ საცნობლად გამოაცხადა, რომ ჩვენ, ჩვენგან შეტანილი ფული დუშეთის შეზღის ხაზინაში წარსულის 1880—1881 წლების ხარჯად ორი წლისა კომლზე 60 კაპეიკი უკან უნდა დაგვიბრუნებიყო ამ ხაზინიდამ, რადგანაც ეს ფული ჩვენგან ქველის წესზე იყო შეტანილი ხაზინაში, და იმავე წლების ხარჯად წელიწადში კომლზე 1 მ. და 50 კაპეიკი ახალი წესზეც მეორედ სხვა გადაგვახდევინეს ამიტომ. ახლა, ხსენებულის პრისტავის სიტყვიერად გამოცხადების შემდეგ, კაცმა არ იცის, სად არის ეს ფული და ვინ სარგებლობს ამით; ურიგო არ იყო, ვისიც ვალია ამ საგანზედ ყურადღებას მიაქცევდეს, და თუ ხსენებული ფული ამ ჟამად ისევ დუშეთის შეზღის ხაზინაშია, მაშინ იმ ფულს ამ მდგომის 1883 წლის საკომლო ხარჯში გაუბრიდეს ყველა იმ საზოგადოებებს, რომელთაც ჯერ არ დაბრუნებიათ ხსენებულის ხაზინიდამ ეს ფული.

ბ. ბ.

*) ჩვეულებრივი სარგებელი არის ჩვენში 20%

# ტელეგრამმა

(„ცნობილობათ ტელეგრაფის სააგენტოსი“)

## რუსეთიდამ

### 19 მარტს

პეტერბურღი. მმართებლობათი ცნობა: გასულ სასწავლო წელს ნოვო ალექსანდრეს სამეურნეო და სატყეო ინსტიტუტის სტუდენტებს შორის სუფევდა არეულობა: სტუდენტები მუდამ იკრიბებოდენ ხოლმე ნება-დაურთველად კრებაზედ, თვისმთავრობის წინააღმდეგობას იჩენდენ, შეურაცხყოფდენ მასწავლებელთ, მთავრობას და გარშავის ოლქის სასწავლო მზრუნველს, აპუხტინს; რის გამოც ლექციები დაიხურა და ინსტიტუტის გამგეობამ გამორიცხა 17 სტუდენტი, და ზოგთ შენიშნვაც მისცა, სტუდენტები-კი ითხოვდენ, რომ ყველანი გამორეცხონ—ამათ ჰგონებდენ ალბად, რომ იმ 17-საც აპატიებდენ, მაგრამ ამ გვარმა წინააღმდეგობამ გამოიწვია შემდეგი განკარგულება გამგეობისა, რომელმაც ოთხ-ხარისხად დაჰყო დამნაშავენი: 54 სტუდენტი სამუდამოდ გამოირიცხა ინსტიტუტიდამ, და არც ექმნებათ ნება ხოლმე სხვა უმაღლეს სასწავლებელში შესვლა; [illegible] მოირიცხა ორის წლით, [illegible] გამორიცხა უფლებით, რომ შეეძლოთ სწავლის გაგრძობა სხვა სასწავლებელში და 14-ხელ ახლავ იქმნებიან მიღებულნი, რაკი ლექციები ხელ ახლავ გაიმართება.

წესდებათა კრებაში გამოცხადებულია, რომ მართლ-მადიდებელ სასულიერო წოდებას და საეკლესიო პრიჩეტნიკებს ნება დაერთოთ იშვილონ ხოლმე, ვისაც მოისურვებენ; მხოლოდ სასულიერო აზნაურთ იმ წესის დაცვით, როგორაც საერო აზნაურნი მიჰყვებიან ამ შემთხვევაში; სასულიერო არა აზნაურებმა—როგორც პირადი აზნაურნი იშვილებენ ხოლმე და პრიჩეტნიკებმა—როგორც საპატიო მოქალაქენი.

ტაშკენტი. დღეს დილით ძლიერი მიწის ძვრა იყო.

### 20 მარტს

პეტერბურღი. მავნე მიმართულების გამო გაზეთი „მოსკოვის ტელეგრაფი“ უმაღლესის განკარგულებით მოისპო სრულებით.

გაზეთები იწერებიან, რომ მინისტრთა კომიტეტს განუხილავსო ადესის ღენერალ გუბერნატორის წინადადება იმის, თაობაზედ, თუ რა მავნე გავლენა აქვს ებრაელების მოსწავლეთა რიცხვის გადამეტებას ყველა საშუალ სასწავლებლებში ადესის ოლქისა; საქმე გადაეცა განათლების მინისტრს.

სამარყანდი. გუშინ იყო ძლიერი მიწის ძვრა.

## სამზღვარ-გარეთიდამ

### 17 მარტს

პარიჟი. ბელში, მონსო-ლე-მინის მახლობლად ობერ-შტეიგერის კამიუსის სადგომის კარებთან ააფეთქეს დინამიტი. ამ კამიუსამ მიიღო ამ წინაზედ სიკვდილი, მუქრით წერილი

---

— თქვენ-კი რაც შეგეხებათ, ქალბატონო... სიჩუმეა.

— თქვენ რაც შეგეხებათ, ქალბატონო, მე არ შევარცხვენ არც ჩემსა და არც თქვენს თავს ამ სამარცხვინო მოქმედებით. უნდა დღესვე დაანებოთ ამ სახლს თავი; შეგიძლიანთ იცხოვროთ სადაც გნებავთ... თქვენი მზითვით, რომელიც თქვენ დაგიბრუნდებათ ჩემის ბრძანებით. რასაკვირველია, თუ ხვალინდელის დუელის გამო თქვენ დაქვრივდებით, მე ვეცდები საჭირო განკარგულება მოახდინონ. შუაღამისას მიდის მატარებელი. ლაქია გაგაცილებთ რკინის გზის სტანციამდინ... ო! ამავ საათს, ამავე წამს წადით აქედამ... ნუ იგვიანებთ!..

— პოლ!

— ჩქარა, გთხოვთ...

—

მეორე მოქმედება. გავიდა ნახევარი წელიწადი. დუელი ალბერის და პოლისა გათავდა. ქმრის ტყვიამ დაამსხვრია მტრის ხელი. ცოტა გასწყდა, კინაღამ ხელის მოჭრა გადასწყვიტეს, მაგრამ ალბერი უმისოდაც კარგად გახდა. რასაკვირველია, ყველაზე ადრე ალბერი გაიქცა იმასთან, ვინც დალუპა. ეხლა ისინი სცხოვრებენ ერთად, როგორც ცოლი და ქმარი...

—

მიყრუებულ ქუჩაში ჩინებულად მორთული სახლია. ერთი ქალი ჩქარის ნაბიჯით შემოვიდა. აქ, ეტყობა სხვანაირად უნდა იყვეს საქმე. არ აღგიწერთ ეხლა ამ ქალის შეხედულებას და პირ და პირ, ნამდვილ საბუთებს მოგახსენებთ... ეს ქალი გახლავთ ისევ ის *N*. როგორც ხედავთ, ამ ქალბატონს ბუნება შესცვლია... ადრე მასთან მიდიოდენ, ის მასპინძლობდა ხოლმე, ეხლა-კი ის თვით მიდის სხვასთან—სხვანი მასპინძლობენ...

ძარებიც გაუღეს.

— ხომ არ დავიგვიანე?

— არა.

— იმან დღეს ვერ გაბედა ბირჟაზე წასვლა.

— მაინც გჯერა ხომ, რომ არაფერს მიმხვდარა?

— სრულიად არა.

— დარწმუნებული ხარ, რომ თვალი არ აგადევნა?

— დარწმუნებული ვარ.

ძოცნა... ძარებს იქით მოისმა საშინელი ყვირილი: გაალეთ...

— ეს ხმა!..

— ეს ის არის!

— მაშინვე ვიგრძენ, რომ ის მიმხვდარი იყო!...

— მე კი ყველა ლონისძიება მოვიხმარე, როგორც მასწავლე.

— გაალეთ, თორემ ამ საათში დავამტვრევ კარებს!...

— რა ვქმნათ?!

მინამ ამათ მოიფიქრეს, რა დაესკვნათ, კარებიც შემოიმტვრა.

— უბედურო!

ეს წყევლა, რომელიც პირველად გავიგონეთ ქმრისაგან, ეხლა წარმოსთქვა ალბერმა.

— საძაგელო, შენ გამო არ იყო, კინაღამ დავკარგე სიცოცხლე?!

— თქვენ ნება არა გაქვთ, მაყვედროთ, რადგან თქვენ გააფუჭეთ მთელი ჩემი სიცოცხლე!

— მართლა? სწორე მოგახსენო, კარგი დრო კი აირჩიეთ მოგონებისთვის იმ.... და მე უჯერიდი, მივენდე ამ გვარ ქმნილებას.

— მე კი, მე! სად იყო ჩემი ჭკუა, როდესაც შენისთანა გაუთლელი, ბრიყვი კაცი ვარჩიე იმას, რომელიც....

— გაჩუმდით! ამის შემდეგ თქვენ...

— ნებას არ გაძლევთ, შეურაცხყოფა მომაყენოთ.

— მიკრძალავთ!?...

— დიაღ....

— სად არის თქვენი საყვარელი!?... გულით მწადის იმის ნახვა.

— უყურეთ!

— როგორ!?...

— დიაღ!... ნუ თუ მე ნება არა მაქვს, ზოგჯერ, ჩემი ქმრის ნახვისა, თუ კი ეს მესიამოვნება?!

მ. ც.

განმაკარგულებელის კამიტეტისაგან. უბედურება არა მომხდარა-რა.

დღეს დაატუსაღეს ლუიზა მიშელ, რომელსაც ბრალდება ფურნების გამცარცვავ დაიარაღებულ ხროვის მეთაურობა.

**სოფია.** ტირნოვის მცხოვრებლებმა გაუგზავნეს სრულის ნდობის განსაცხადებლად დეპუტაცია მართებლობას და ახალს კაბინეტს.

**ლონდონი.** ფენიებმა გაუგზავნეს პოლიციის უფროსს, მუქრითი წერილი, რომ ააფეთქებენ ფოჩტისა და ტელეგრაფის სადგომებს, თუ ეხლავე არ განათავისუფლებენ დამნაშავეთ ფენიელ-პარკის საქმის შესახებ.

# განცხადებანი

„ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ მმართველობა უმორჩილესად სთხოვს „საზოგადოების“ წევრთა, როგორც დამფუძნებელთ, ისე ნამდვილთ შემოიტანონ თავიანთ ხვედრი საწევრო ფული წარსულის 1882 წლისა — პირველთ ორ-ორი თუმანი, ხოლო მეორეთ — ექვს-ექვსი მანათი. საწევრო ფულის შემოტანაზე ბარათების (კვიტანციების) მიღება შეიძლება ან საზოგადოების ხაზინადარისაგან ბ. გიორგი დავითის-ძის ქართველიშვილისაგან (მიხეილოვის ქუჩა საკუთარი სახლი), ან საქმის-მწარმოებლისაგან — საზოგადოების სამწერლოში. (მთაწმინდა, ხევის ქუჩა, ფარესაშვილის სახლები, № 9).

## ძიძა

ქართველი ძიძა ეძებს ადგილს. ადრესი: კირპიჩნი ქუჩა, თაქთაქოვის სახლების მახლობლად, იოსებ გოგინაშვილთან იკითხეთ ელისაბედ ქავთარაძისა. (5—1)

მთაწმინდაში, ზედ მოედანზე, ქირით იძლევა ორ-სართულიანი სახლი ცალცალკე თითო სართული და ორივ ერთად; თითო — ოთხ-ოთხი სუფთა ოთახი, თავის ეზოთი, სამზარეულოთი, სარაით, საჯინიბოთი და ყოველივე მოწყობილებით. ადრესი: მელიქიშვილის სტამბა, ანუ მისივე სახლი სოლოლაკში, „სადოვის ქუჩაზე“ № 43.

გალავინის პროსპექტზე, ანტონოვის სახლებში „ლივადიის“ სასტუმროში, ვაძლევ მებილით, სამოვრით და მოსამსახურით ოთახებს, თვეობით 15 მანეთიდამ 60-დის, დღეობით — ოთხი აბაზიდამ — სამ მანეთამდის.

მიხაილ ხარებავა.

10—5)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## ეროვბა

თხზ. ნ. ნიკოლაძისა

გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი 15 კაპ.

ინგლისის

## მაღაზია

*Maison de confiance*

მაღარმო ნავთი ხაი — 1 მ. 10 კ. მოსკოვის ხაის — 1 მ. 40 კ.

| | |
|---|---|
| — — — 1 — 20 | — — 1 — 60 |
| — — — 1 — 40 | — — 1 — 80 |
| — — — 1 — 60 | — — 2 — „ |
| — — — 1 — 80 | — — 2 — 50 |
| საუკეთესო — 2 — „ | — — 3 — „ |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასალებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები — კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშინ კალენკორი — სულ ყველაფერი 25, დამ 50 პროცენტით უფრო იაფადვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1,000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—51)

დაიბეჭდა და ისყიდება გ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში.

სალამური

№ 1.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ.

## საავადმყოფო

ექიმის პავლოვსკისა

კუკია, მოსტოვაიას და ელისავეტის ქქ. კუთხეში, ადრინდელი სახლები სლინკოსი, ვორონცოვის ძეგლის მახლობ. მუდამ დღე იღებს ავად-მყოფებს: დილით 9—10 საათ.: მ. გ. ლუნკევიჩი თვალის, ვენერიულ და ხირურგიულ ავად-მყ., 10—11½-დის ქალი-ექიმი ა. კ. სამოილოვიჩისა ქალის და ყმაწვილის ავდა-მყ., 11½—12½ საათამდის ა. ა. პავლოვსკი, ნერვულ და შინაგან ავად-მყ; სადამოს: 4—5 საათამდის ე. ს. ზუბოვი შინაგან ავად-მყ., 5—6-დის ა. ა. პავლოვსკი ელექტრო-ტერაპიიდამ. ფასი რჩევისათვის 50 კ. ღარიბთ მუქთად ეძლევათ რჩევანი. ავად-მყოფის სურვილით შესდგება კონსულტაცია. საავად-მყოფოში არის კეფირი.

დირექტორი, ექიმი ა. პავლოვსკი. (20—8)

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში

საყმაწვილო ბაღი

№ 1

საყმაწვილო დრო-გამოშვებითი გამოცემა, გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 25 კაპ. მოსწავლეთათვის 20 კაპ.

ტფილისში, ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება.

საქართველოს სამოთხე

გამოცემული მიხეილ საბინინის-მიერ.

ფასი ყველგან ჩვიდმეტი მანეთი. გარეშე პირთ შეუძლიანთ მიმართონ ბ. ზაქარია ჭიჭინაძეს, აღნიშნულის ფასით.

ახალი ქართული

## კარაბადინი

ისყიდება ტფილისში: შავერდოვის და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებში; ქუთაისში: მურადოვის და ჭილაძის წიგნების მაღაზიებში.

ფასი ყდიანის ერთი მანეთი.

წერა-კითხვის საზოგადოების გამოცემანი:

იგავ-არაკნი, გალექსილნი თ. რ. ერისთავისაგან, სურათებითი გამოცემა მეორე, ფასი ექვსი შაური.

წითელი ფარანი, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ვ. ანდრონიკაშვილისა, ფასი სამი შაური.

ხატაური, საყმაწვილო მოთხრობა, თარგ. ანასტასია თუმანიშვილისა, ფასი ორი შაური.

ეს წიგნები ისყიდება საზოგადოების კანცელარიაში და წიგნების მაღაზიებში. ვინც ნაღდს ფულზედ ერთბაშად იყიდის 15 ეგზემპლიარს რომელსამე წიგნისასა, დაეთმობა 20% ანუ მანეთზედ ერთი აბაზი და მიეცემა: იგავ-არაკი წიგნი 24 კაპ., წითელი ფარანი 12 კაპ. და ხატაური 8 კ. (10—9)

ახალი წიგნი

ისყიდება შავერდოვის გაზეთის სააგენტოში, ბულვარზე

შემოკლებული

საქართველოს

რუკა

შედგენილი რომან ცანციევისაგან. 1882 წ. ფასი თოთხმეტი შაური, გაგზავნით ოთხი აბაზი.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

დედა და შვილი

და

რამდენიმე ლექსი

თ. ილია ჭავჭავაძისა.

ზ. ჭიჭინაძისაგან გამოცემული

ფასი 15 კაპ.

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

მამულის

საერთო მფლობელობაზე

თხზულება

ანტონ ფურცელაძისა

გამოცემული

ზაქარ ჭიჭინაძისაგან.

ფასი თითო წიგნისა ერთი აბაზი

დაიბეჭდა და ისყიდება გრ. ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

## სახსოვარი

ბატონიშვილის ალექსანდრესმის ირაკლის გარდაცვალებაზე.

შეკრებილი და გამოცემული

ზ. ჭიჭინაძისაგან

ფასი ხუთი შაური.

დაიბეჭდა და გამოვიდა ცალკე წიგნად

## „ციკო“

მოთხრობა

ა. მოჩხუბარიძისა (ყაზბეგისა)

ფასი ადგილზედ 30 კ. გაგზავნით 40

ისყიდება ტფილისში „დროების“ რედაქციაში და შავერდოვის პავილიონში ალექსანდროვის ბაღთან. წიგნის მაღაზიებს ჩვეულებრივი დათმობა, მოსწავლე ყმაწვილებისათვის, ვინც პირ-და-პირ „დროების“ რედაქციიდგან წაიღებს, ადგილზედ 20 კაპეიკად თითო წიგნი, გაგზავნით 30 კაპ. (20—19)

ინგლისური რკინის კრავოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან — 9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25% იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფადნოსები, კლიტეები, ხათანგები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიჩბები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1-ლის ხარისხისა. (100—43)

გრ. ჩარკვიანის წიგნის მაღაზიაში ისყიდება: ქართველი კლასიკები

№ 1

ჩახრუხაძე

შემოკლებულის ბიოგრაფიით.

გამოიცემის ზ. ჭიჭინაძისაგან.

ფასი 20 კაპ.

## ტაქსია

საკვებაც ხორაგეულებათა, რომელნიც იყიდებიან ტფილისის ბაზრებში, დუქნებში და დატარებით 1 მარტიდამ 1 აპრილამდის.

გამომცხვარი პური: ხორბლის ფქვილის

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | — 1 გირ. | 3½ |
| მესამის „ | — 1 გირ. | — |

იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ | — 1 გირ. | 4 კ. |

ჯვარის-მამის პური:

| | | |
|---|---|---|
| პირველ ხარის. ლავაში | 1 გირ. | 5½ |
| მეორის „ „ | — 1 გირ. | 4½ |
| მესამის „ „ | — 1 გირ. | 4 კ. |

ძროხის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველის ხარისხის | — 1 გირ. | 11 კ. |
| მეორის „ | — 1 გირ. | 9 კ. |
| სუკი — — | — 1 გირ. | 17 კ. |
| ცხვრის ხორცი | 1 გირ. | 11 კ. |

ღორის ხორცი:

| | | |
|---|---|---|
| პირველი ხარისხის | — 1 გირ. | — |
| მეორის „ | — 1 გირ. | — |

Позволено цензурою. Тифлисъ, 21 Марта 1883 г. Типографія Меликова გამომცემელი ს. მელიქიშვილი. რედაქტორი ს. მესხი.